დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
16.03.10 № 02-349 ბრძანებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქონების დაზღვევის პროცედურების განხორციელების წესი

1. სავალდებულო წესით დაზღვევას ექვემდებარება უნივერსიტეტის შემდეგი ქონება:
ა) უნივერსიტეტის კუთვნილი და მის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები;
ბ) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ტიპის სატრანსპორტო საშუალება;
გ) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული, ვიდეო და აუდიო ტექნიკა;
დ) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სტამბის, ლაბორატორიების და ტელე-რადიო სტუდიების ტექნიკური აღჭურვილობა.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაზღვეულ იქნას ამ წესის პირველი პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული ქონება.

3. უნივერსიტეტის ქონების დაზღვევის პროცედურების განხორციელება ევალება უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურს.

4. დაზღვევის პროცედურების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურში განისაზღვრება დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე პასუხისმგებელი შესყიდვების სპეციალისტი.

5. დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე პასუხისმგებელი შესყიდვების სპეციალისტი უნდა იცნობდეს "ორისის" საბუღალტრო-სააღრიცხვო პროგრამაში მუშაობის წესებს.

6. დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე პასუხისმგებელ შესყიდვების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს წვდომა ორისის საბუღალტრო-სააღრიცხვო პროგრამასთან.

7. უნივერსიტეტის ქონების ყოველი მომდევნო წლის დაზღვევის ბიუჯეტის პროექტი წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, კანონითა და წესდებით დადგენილი წესით, არაუგვიანეს წინა წლის 10 ნოემბრისა, ხოლო დაზღვევის მომსახურების შესყიდვის პროცედურების განხორციელება იწყება იმავე წლის არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

8. წლის განმავლობაში შეძენილი ან სარგებლობაში გადაცემული ქონების დაზღვევის პროცედურების შესყიდვის განხორციელება, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვისას, უნდა დაიწყოს უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ქონების ბალანსზე აყვანიდან 3 დღის ვადაში, ხოლო სარგებლობაში გადაცემული ქონებისა - შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში.

9. წლის განმავლობაში შეძენილი ან სარგებლობაში გადაცემული უნივერსიტეტის ქონების დაზღვევის მომსახურების ფასთა კოტირების საშუალებით შესყიდვისას, შესყიდვის პროცედურები უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ, თუკი არსებობს დასაზღვევი ქონება. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის პროცედურების განხორციელება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს შესაბამისი თვის 25 რიცხვისა. ამ პუნქტით დადგენილი ვადები არ მოქმედებს იმ შემთხვევებზე, როცა უნივერსიტეტისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს სარგებლობაში გადაცემული ქონების სავალდებულო დაზღვევის უფრო მცირე ვადებს.

10. უნივერსიტეტის ქონების დაზღვევის მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვისას, შესყიდვის პროცედურები უნდა ჩატარდეს სამ თვეში ერთხელ, თუკი არსებობს დასაზღვევი ქონება. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის პროცედურების განხორციელება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს შესაბამისი კვარტლის 25 რიცხვისა. ამ პუნქტით დადგენილი ვადები არ მოქმედებს იმ შემთხვევებზე, როცა უნივერსიტეტისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს სარგებლობაში გადაცემული ქონების სავალდებულო დაზღვევის უფრო მცირე ვადებს.

11. კონტროლს უნივერსიტეტის ქონების დაზღვევის პროცედურების შესრულებაზე განახორციელებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით.